საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 999

თბილისი „06“ 08 2019 წ.

„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის №71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი „პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის“ კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის №205 ბრძანებით გამოცხადებული „პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის“ კონკურსის (II ეტაპის) გამარჯვებულის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის №205 ბრძანებით გამოცხადებული „პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის“ კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის №354 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2019 წლის 23 ივლისის სხდომის ოქმის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 26 ივლისის №992659 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის №71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი „პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის“ კონკურსის გამოცხადებისა და

საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის №205 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა“ (II ეტაპის) გამარჯვებული პროექტი: „თბილისის კამერული მუსიკის XIV ფესტივალი“, განმახორციელებელი - ა(ა)იპ შემოქმედებითი კავშირი „საქართველოს მუსიკალური საზოგადოება“.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების დაწყების თარიღად განისაზღვროს არაუადრეს 2019 წლის 10 აგვისტოსი.

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2019 წლის 10 აგვისტოსი.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი